სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში კულტურის კვლევების კათედრის ასისტენტ-პროფესორის სამსახურში მისაღებად რექტორის 2024 წლის 27 მაისის № 128/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 3 ივნისის № 67/2024 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

№ 4 ოქმი (შემაჯამებელი)
კორექტირებული

ქ. თბილისი „19“ ივლისი 2024
12.00 საათი, თსუ I კორპუსი, აუდიტორია № 304

კომისიის ხუთი წევრიდან სხდომას ესწრებოდა ხუთი წევრი:

1. ნინო ჩიქოვანი - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. ივანე წერეთელი - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. ირაკლი ჩხაიძე - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);
4. ეკატერინე ნავროზაშვილი - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. თინათინ ღუდუშაური - საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის კულტურის კვლევების კათედრის ასისტენტ-პროფესორის („ა“ კატეგორია) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ ნინო ჩიქოვანის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ შეფასების ორივე ეტაპის და ფარული კენჭისყრის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებისა და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ საკონკურსო დოკუმენტაცია იყო დალუქულ მდგომარეობაში და კანდიდატის საკონკურსო დოკუმენტაციის ლუქებისა და შეფუთვის სიმთელე დარღვეული არ იყო.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის კულტურის კვლევების კათედრის ასისტენტ-პროფესორის („ა“ კატეგორია) 1 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა - მაია ქვრივიშვილმა.

კომისიის თავმჯდომარემ მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გასაუბრებისა და კენჭისყრის შედეგები.

კონკურსანტი - **მაია ქვრივიშვილი**

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტ **მაია ქვრივიშვილის** განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, სპეციალობით - ისტორიული კულტუროლოგია), სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი, რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, აკმაყოფილებს ვაკანსიისათვის წარდგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, შეფასების I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს.“

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (2008 წლიდან დღემდე ეკავა კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის კულტურის კვლევების კათედრის ასისტენტ-პროფესორის თანამდებობა) და საერთო პედაგოგიური სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (10 სასწავლო კურსი ბაკალავრიატში, 3 სასწავლო კურსი მაგისტრატურაში) შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. კონკურსანტის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები, რომლებიც შეტანილია კულტურის კვლევების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი საგნების ნუსხაში, ასევე ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, II კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „მაღალი.“

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა): კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 1 პუბლიკაცია საერთაშორისო რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალში; სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები - 12; მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში – 11. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სტატია შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრულად შესაბამისი ნაშრომი. სამოტივაციო წერილში მიმოხილულია კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და მისი შემდგომი განვითარების მიმართულებები. კონკურსანტის კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობა მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და მიმართულია სპეციალისტთა მომავალი თაობის აღზრდისკენ. შედეგად, საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი.“

IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი): კონკურსანტის მიერ განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: კონკურსანტი არის საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის წევრი; საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელი; სამაგისტრო ნაშრომების რეცენზენტი. ამდენად, საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი."

კონკურსანტების შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, გაიმართა შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება.

გასაუბრების ეტაპზე კომისიის წევრების მიერ კონკურსანტს დაესვა შეკითხვები სამეცნიერო საქმიანობისა და სამომავლო სამეცნიერო გეგმების, საგანმანათლებლო საქმიანობისა და წასაკითხად შემოთავაზებული სასწავლო კურსების შესახებ. სხვა კითხვები უკავშირდებოდა უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და სასწავლო–სამეცნიერო საქმიანობას. კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს კონკურსანტმა ამომწურავი პასუხები გასცა. კომისიამ შეაფასა კონკურსანტის პროფესიული უნარ–ჩვევები, დისკუსიის, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კონკურსანტ **მაია ქვრივიშვილის** კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის კულტურის კვლევების კათედრის ასისტენტ-პროფესორის („ა" კატეგორია) ვაკანსიის მოთხოვნებთან.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით, ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრმა.

კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის კულტურის კვლევების კათედრის ასისტენტ-პროფესორის („ა" კატეგორია) გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, კომისიის ყველა წევრმა (ხუთი მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) ერთხმად დაუჭირა მხარი **მაია ქვრივიშვილის** კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის კულტურის კვლევების კათედრის, როგორც სამეცნიერო-სასწავლო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის აქტიური აკადემიური საქმიანობის, სასწავლო-მეთოდური მუშაობისა და სამეცნიერო აქტივობის შესახებ არსებულ მონაცემებს. კონკურსანტ **მაია ქვრივიშვილის** მიერ წასაკითხად შემოთავაზებული სასწავლო კურსები სტუდენტებს

მისცემს თანამედროვე ცოდნას. კომისიამ ასევე გაითვალისწინა კონკურსანტის პიროვნული თუ პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

კომისიამ ერთხმად დაადგინა:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის კულტურის კვლევების კათედრის ასისტენტ-პროფესორის („ა“ კატეგორია) ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს კონკურსანტი **მაია ქვრივიშვილი**.
2. კომისიამ ერთხმად დაადგინა - შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებგვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრების ხელმოწერა **თარიღი 26.07.2024**

კომისიის თავმჯდომარე:

მოადგილე:

წევრები:

კომისიის მდივანი:

თარიღი: 26.07.2024